

განმარტებითი ბარათი

## საქართველოს კანონი

### “პატიმრობის შესახებ” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია პატიმართა და მათი ოჯახების სოციალური და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუცველობა რაც გამომდინარეობს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედ რედაქციაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზებიდან.

მივიჩნევთ, რომ სახელმწიფო ვალდებულია მეტად დაიცვას პატიმართა უფლებები საკანონმდებლო დონეზე.

ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:

მიუხედავად იმისა, რომ „პატიმართა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველივე პუნქტში დადგენილია, რომ „ეს კანონი აწესრიგებს პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს“, ამ კანონით პატიმართა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა დღემდე მეტწილად დაუცველია.

ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივის მიზანია ზემოთხსენებული საკანონმდებლო დანაწესის განხორციელება და პატიმართა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება საკანონმდებლო დონეზე იმგვარად, რომ თითოეული პატიმრობაში მყოფი ადამიანისათვის იყოს საგრძნობლად და რეალურად დაცული და განხორციელებული სოციალური და სამართლებრივი უფლებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში: საყოველთაოდ ცნობილია და მოგეხსენებათ, რომ პატიმრობაში მყოფი ადამიანის სოციალური და ოჯახური მდგომარეობა მკვეთრად

უარესდება ხშირი და ბუნებრივია მეუღლეებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის გაუარესება, გაუცხოება, გაცივება, განშორება, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით მკვეთდარ უარყოფითად აისახება საზოგადოების სოციალურ ფონზე.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს არა მხოლოდ იმაზე თუ რამდენად მკაცრად და რა ხანგრძლივობით მოიხადოს სასჯელი პატიმარმა, არამედ იმაზეც, რომ პატიმრობაში მყოფი ადამიანი განთავისუფლების შემდეგ რა სახით, რა მდგომარეობით დაუბრუნდება საზოგადოებას: შერჩება კი მას ოჯახი, მეუღლე, ნორმალური ურთიერთობა შვილებთან და. ა. შ.

ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივა განაპირობა იმანაც, რომ სტატისტიკურად ძალიან გახშირდა პატიმრობაში მყოფ მეუღლეებთან განქორწინების შემთხვევები, ინგრევა ოჯახები, უბედურდებიან ადამიანები, მათი მომავალი სრულიად ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება ეს რეალობა და ნამდვილად არ შეიცავს „პატიმრობის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონით მხოლოდ სიტყვიერად დადგენილ სოციალური და სამართლებრივ გარანტიებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება: არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი მაგდალინა ანიკაშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი მაგდალინა ანიკაშვილი